დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 24
აპრილის №ძ 39 ბრძანებით.

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“

კეთილი ნების ელჩის სტატუსის მინიჭების წესი

2026 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 2. ელჩის სტატუსი 3
მუხლი 3. ელჩის უფლებამოსილებები 3
მუხლის 4. ელჩისთვის სტატუსის მინიჭება და სტატუსისი შეწყვეტა 3
მუხლი 5. დასკვნითი დებულება 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (შედგომში - „უნივერსიტეტი“) კეთილი ნების ელჩის (შემდგომში “ელჩი”) სტატუსის მინიჭების პროცესს.
2. უნივერსიტეტის ელჩი არის პირი, რომელიც მოხალისეობრივ საწყისებზე ეწევა უნივერსიტეტის მიღწევების პოპულარიზაციას ფართო საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

მუხლი 2. ელჩის სტატუსი

1. უნივერსიტეტის ელჩის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულსა და სტუდენტს, უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორს, საზოგადო მოღვაწეს, უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგის, სემინარის, კონფერენციის მონაწილეს და სხვა პირს.
2. ელჩის სტატუსი არის უვადო.
3. ელჩის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებულ პირთან და ელჩთან კომუნიკაციის პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური (შემდგომში - სამსახური).

მუხლი 3. ელჩის უფლებამოსილებები

1. ელჩი უნივერსიტეტის სიმბოლური წარმომადგენელია, ხელს უწყობს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, მისი რეპუტაციის ამაღლებასა და განმტკიცებას.
2. ელჩი იყენებს მის ავტორიტეტს და უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას უნივერსიტეტის მიერ “მესამე მისიის” ფარგლებში საზოგადოების განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების, საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამების, უნივერსიტეტის მიღწევების, აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი ინფორმაციების და უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი მასშტაბური ღონისძიებების შესახებ.
3. უნივერსიტეტის სამსახური ელჩის სტატუსის მქონე პირს წელიწადში ერთხელ იწვევს უნივერსიტეტის დღისადმი მიძღვნილ გალა ღონისძიების პროგრამის ფარგლებში მონაწილეობის მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ თემატური პრობლემის განხილვაში.

მუხლის 4. ელჩისთვის სტატუსის მინიჭება და სტატუსისი შეწყვეტა

1. ელჩის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და წარუდგენს თავის კანდიდატურას ელჩის სტატუსის მინიჭების მიზნით. განცხადებას უნდა ერთვოდეს რეზიუმე (CV).
2. განცხადებას ელჩის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს რექტორი და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებას.
3. ელჩის სტატუსის მქონე პირზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.
4. ელჩის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

   4.1. ელჩის პირადი განცხადება;

   4.2. ელჩის მიერ უნივერსიტეტის რეპუტაციის შემლახველი ქმედების განხორცილება;

   4.3. ელჩის გარდაცვალება;

4.4. სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ელჩის სტატუსის შეწყვეტას.

5. გადაწყვეტილება ელჩის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მიიღება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

1. წინამდებარე წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2. წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.